



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი

სტრატეგიული განვითარების გეგმა

2024-2030

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
სტრატეგიული განვითარების გეგმა



- შესავალი
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- მისია, დირებულებები, ხედვა
- SWOT ანალიზი
- სტრატეგიული განვითარების გეგმა



## შესავალი



### უნივერსიტეტის ისტორია

**1918** წელს გაიხსნა კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი, რომელმაც ქართული საგანმანათლებლო ტრადიციების გათვალისწინებით საფუძველი ჩაუყარა საქართველოში ევროპული ტიპის უმაღლეს სკოლას.

საქართველოში უნივერსიტეტის დაარსების იდეა ჯერ კიდევ **მე-19** საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიისაგან გათავისუფლებისთვის ბრძოლის გაძლიერებასთან ერთად დაიბადა. **მე-19** საუკუნის სამოციან წლებში საქართველოში სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა ახალი თაობა დიდი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ილია ჭავჭავაძის, მეთაურობით, რომელთანაც დაკავშირებულია სულიერი აღორძინების ახალი ეტაპი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ამ წლებში განსაკუთრებით გააქტიურდა უნივერსიტეტის დაარსებისათვის ბრძოლა.

უმაღლესი სკოლის შექმნის რეალური შესაძლებლობები კიდევ უფრო გამოიკვეთა მას შემდეგ, რაც თბილისში დაარსდა სათავადაზნაურო საადგილმამულო ბანკი. იგი რუსეთის იმპერიაში არსებულ ბანკებს შორის ერთადერთი იყო, რომელიც თავის შემოსავალს ერის კულტურულ-საგანმანათლებლო და სამეურნეო ინტერესებს ახმარდა.

**მე-20** საუკუნის დასაწყისიდან ქართული უნივერსიტეტის დაფუძნების ორგანიზატორი გახდა პეტერბურგის უნივერსიტეტის აღზრდილი და მისი პრივატ-დოცენტი ივანე ჯავახიშვილი. **1917** წლის თებერვლის რევოლუციის პირველი დღეებიდანვე პეტერბურგში მყოფმა ივანე ჯავახიშვილმა აქტიურად დაიწყო უმაღლესი სასწავლებლის გახსნისათვის მზადება.

**12 მაისს** თბილისში, პეტრე მელიქიშვილის ბინაში, უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელთა პირველი შეკრება გაიმართა. კრებას ექვთიმე თაყაიშვილი ხელმძღვანელობდა. ამ დღეს შეიქმნა „**ქართული თავისუფალი უნივერსიტეტის**“ საზოგადოება, რომელმაც დიდი როლი შეასრულა უნივერსიტეტის დაარსების საქმეში.





**1917** წლის შემოდგომაზე უნივერსიტეტის დამფუძნებლებმა კიდევ უფრო აქტიური მუშაობა გააჩაღეს უმაღლესი სასწავლებლის გასახსნელად. გადაწყდა, რომ თავდაპირველად დაარსებულიყო მხოლოდ ერთი – სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტი, რომელიც გააერთიანებდა ჰუმანიტარულ დარგებს, აგრეთვე, ბუნებისმეტყველებასა და მათემატიკას. დეკემბრის ბოლოს პრესაში უკვე გაჩნდა განცხადება ქართულ უნივერსიტეტში სტუდენტების მიღების შესახებ.



კავკასიაში პირველი ეროვნული უნივერსიტეტი **1918 წლის 26 იანვარს (ახალი სტილით 8 თებერვალს)**, დავით აღმაშენებლის ხსენების დღეს, გაიხსნა. უნივერსიტეტის პირველ რექტორად, ივანე ჯავახიშვილის წინადადებით, პროფესორთა საბჭომ პეტრე მელიქიშვილი აირჩია, თავად ივანე ჯავახიშვილი სიბრძნისმეტყველების ფაკულტეტს ჩაუდგა სათავეში.



ახლად დაარსებულ უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდნენ: ივანე ჯავახიშვილი, იუსტინე აბულაძე, გიორგი ახვლედიანი, ელისაბედ ბაგრატიონ-ორბელიანისა, ანდრია ბენაშვილი, ივანე ბერიტაშვილი, ფილიპე გოგიჩაიშვილი, ექვთიმე თაყაიშვილი, კორნელი კეკელიძე, შალვა ნუცუბიძე, ანდრია რაზმაძე, დიმიტრი უზნაძე, ვანდა დამბაშიძე, ილია ყიფშიძე, იოსებ ყიფშიძე, აკაკი შანიძე, გრიგოლ წერეთელი.



1989 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს მისი დამაარსებლის, ივანე ჯავახიშვილის, სახელის მიენიჭა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღეს საქართველოს ერთ-ერთი უპირველესი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებაა, ყოველწლიურად აქ 200-მდე ადგილობრივი და საერთაშორისო მასშტაბის სამეცნიერო საგრანტო პროექტი ხორციელდება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი თავისი მასშტაბით ერთ-ერთი უდიდესია საქართველოში. დღეისთვის თსუ-ს 7 ფაკულტეტზე 22 ათასამდე სტუდენტი სწავლობს.



თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად უმაღლესი პროფესიული საგანმანათლებლო, ასევე მოკლე და გრძელვადიანი სასერტიფიკატო პროგრამები ხორციელდება.



## თსუ მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტებს შორის

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი N1 უნივერსიტეტია რეგიონში:



U.S. News & World Report-ის 2022-2023 წლის რანჟირებაში (Best Global University Ranking) თსუ 776-ე ადგილს იკავებს



თაიმსის მსოფლიო უნივერსიტეტების რანჟირებაში (Times Higher Education World University Rankings) თსუ 1501+ პოზიციას იკავებს



თსუ QS World University Rankings-ის რანჟირებაში 801-850 პოზიციაზეა. QS EECA University Rankings 2024 წლის რეგიონულ რანჟირებაში თსუ 118-ე ადგილს იკავებს.



Round University Ranking 2022 წლის რანჟირებაში თსუ 763-ე პოზიციაზეა; Shanghai Academic Ranking of the World Universities (ფიზიკის მიმართულება) 2022 წლის რანჟირებაში 201-300 პოზიციას იკავებს.



2023 წლის მონაცემების მიხედვით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მსოფლიო საუკეთესო უნივერსიტეტების 4%-ში (1467-ე ადგილი მსოფლიოს 35 038 უნივერსიტეტს შორის), ხოლო ევროპის საუკეთესო უნივერსიტეტების 9%-ში (560-ე ადგილი ევროპის 6 036 უნივერსიტეტს შორის) შევიდა, კავკასიის რეგიონში კი პირველ ადგილს იკავებს.



## ინტერნაციონალიზაცია



ინტერნაციონალიზაცია თსუ-სთვის სტრატეგიულ პრიორიტეტს წარმოადგენდა დაარსების დღიდან. მისი დამაარსებლების უმრავლესობა საზღვარგარეთ მოღვაწე მეცნიერი იყო, რომლებმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს არაერთი სამეცნიერო დარგის განვითარებაში. უნივერსიტეტის დაარსების პირველივე წლებიდან დამფუძნებლები განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდნენ საერთაშორისო საუნივერსიტეტო თანამეგობრობის მხარდაჭერის მოპოვებას, რათა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს ღირსეული ადგილი დაეკავებინა საერთაშორისო სამეცნიერო-საგანმანათლებლო სივრცეში.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კავშირები უცხოეთთან განსაკუთრებით აქტიური გახდა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაციის ინსტიტუციური მხარდაჭერის უზრუნველყოფის მიზნით 1968 წელს დაარსდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან სამეცნიერო და კულტურული ურთიერთობების განყოფილება. ამავე პერიოდში დაიწყო საზღვარგარეთის უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ისეთი მნიშვნელოვანი ფორმა, როგორცაა სტუდენტთა და პროფესორთა აკადემიური გაცვლა, რასაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დღემდე აქტიურად ახორციელებს.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისთვის ინტერნაციონალიზაცია დღემდე განსაკუთრებული მნიშვნელობის პრიორიტეტად და ძლიერ მხარედ რჩება, რადგან ის ხარისხიანი განათლების მიღებისა და მეცნიერების განვითარების, გლობალურად ღირებული ცოდნის შექმნისა და გავრცელებისთვის ერთ-ერთი უნიკალური მექანიზმია.

თსუ-სთვის ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს გამჭოლ პრიორიტეტს, რომელიც მოიცავს უნივერსიტეტის საქმიანობის ყველა მიმართულებას. სწორედ ამ პრიორიტეტულობის გათვალისწინებით ინტერნაციონალიზაციის კომპონენტები მოცემულია უნივერსიტეტს როგორც ერთიან სტრატეგიულ გეგმაში, ასევე სხვადასხვა სტრატეგიაში, ამასთანავე, თსუ-ს აქვს ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი.

ინტერნაციონალიზაცია მნიშვნელოვნად ამაღლებს თსუ-ს გლობალურ კონკურენტუნარიანობას, აკადემიურ წარმატებას და ხელს უწყობს კვლევითი თანამშრომლობისა და მრავალფეროვანი სასწავლო გარემოს შექმნას. უნივერსიტეტის მრავალწლიანი სტრატეგიული თანამშრომლობა ცნობილ უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით დაწესებულებებთან მთელ მსოფლიოში ხელს უწყობს თსუ-ს აკადემიური რეპუტაციის ზრდას. ცოდნის, გამოცდილებისა და



საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება ხელს უწყობს ინსტიტუციის ჰოლისტურ განვითარებას.

ინტერნაციონალიზაცია წარმოადგენს იმ ძირითად ინსტრუმენტს, რომელიც საშუალებას აძლევს თსუ-ს, დარჩეს მნიშვნელოვან მონაწილედ გლობალურ აკადემიურ სივრცეში. ზემოხსნებული მიზნების მიღწევისთვის მექანიზმების ეფექტიანად გამოყენების პირობებში თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ისეთი საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ორგანიზაციების წევრი, როგორებიცაა:



- ევროპის უნივერსიტეტთა ასოციაცია (EUA)
- ევროპის დედაქალაქების უნივერსიტეტთა ქსელი (UNICA)
- კომპოსლტელას საუნივერსიტეტო ჯგუფი (CGU)
- უნივერსიტეტთა საერთაშორისო ასოციაცია (IAU)
- შავი ზღვის უნივერსიტეტთა ქსელი (BSUN)
- ფრანკოფონული საუნივერსიტეტო სააგენტო (AUF)
- ევროპული საუნივერსიტეტო ფონდი (EUF)



თსუ-ს ინსტიტუციური პარტნიორების, უნივერსიტეტებისა და კვლევითი ცენტრების რიცხვი **56 ქვეყანაში 300-მდე აღწევს**, მიმდინარეობს თანამშრომლობა 150-ზე მეტ ევროპულ უნივერსიტეტთან „ერასმუს+“ საერთაშორისო კრედიტ მობილობის პროგრამისა და ორმხრივი თანამშრომლობის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში, რის შედეგადაც 2015-2022 წლებში თსუ-ს მონაწილეობით განხორციელებულმა საერთაშორისო მობილობის (თსუ-ს სტუდენტებისა და პერსონალის მობილობა პარტნიორ უნივერსიტეტებში და პარტნიორი უნივერსიტეტების სტუდენტებისა და პერსონალის მობილობა თსუ-ში) რიცხვმა 3000-ს გადააჭარბა. 2015-2022 წლებში თსუ-ში განხორციელდა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საერთაშორისო კრედიტ მობილობის 420 პროექტი; 1995-2022 წლებში თსუ-მ კოორდინაცია გაუწია და მონაწილეობა მიიღო ინსტიტუციური განვითარების 60-მდე პროექტში, ერაზმუს მუნდუსის 7 კონსორციუმში, ერაზმუსის 3 სამაგისტრო ერთობლივ პროგრამაში და ჟან-მონეს 2 პროექტში. საერთაშორისო სტუდენტთა რაოდენობა, რომლებიც თსუ-ში როგორც უცხოენოვან, ასევე ქართულენოვან პროგრამებზე სწავლობენ, ყოველწლიურად იზრდება. 2024 წლის მონაცემებით, თსუ-ში სწავლობს 1000 მოქალაქე მსოფლიოს 50 ქვეყნიდან, მათ შორის, 100-ზე მეტი ევროპელი სტუდენტი ყოველწლიურად ერაზმუს+ საერთაშორისო მობილობისა და ორმხრივი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში.



უნივერსიტეტში მოქმედებს **24 უცხოენოვანი** (მათ შორის საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე - **ABET, ACS, FIBAA**) საგანმანათლებლო პროგრამა.



## კვლევა და საერთაშორისო პროექტები



თსუ მეცნიერები ჩართული არიან მნიშვნელოვან საერთაშორისო სამეცნიერო პროექტებში, მათ შორისაა: ბირთვული კვლევების ევროპული ორგანიზაციის (შვეიცარია) CERN -ის (“Conseil Européen pour la Recherche Nucléaire” - CERN) დიდ ადრონულ ამაჩქარებელზე მიმდინარე ATLAS ექსპერიმენტი, იულიხის კვლევითი ცენტრის (გერმანია) COSY ამაჩქარებლის JEDI ექსპერიმენტი, იაპონიის პროტონების ამაჩქარებელთა კვლევით კომპლექსზე (Japan Proton Accelerator Research Complex - J-PARC) დეგეგმილი COMET ექსპერიმენტი, ხმელთაშუა ზღვაში მიმდინარე KM3Net ექსპერიმენტი, პროექტი FAIR (Facility for Antiproton and Ion Research) (გერმანია).




თსუ მეცნიერებსა და სტუდენტებს ემსახურება თანამედროვე სასწავლო სივრცეები – 16 კვლევითი ინსტიტუტი, 85-მდე სასწავლო ლაბორატორია. მათ შორის: ფაბლაბი, SMART|Lab, SMART|AtmoSim-Lab, Bloomberg ლაბორატორია, სან დიეგოს უნივერსიტეტის მიერ მოდერნიზებული ფიზიკისა და ქიმიის ლაბორატორიები; ელექტრონიკის და ელექტრონული ინჟინერიის ლაბორატორიები; მაღალი სიხუსტის თანამედროვე ბირთვული მაგნიტურ-რეზონანსული (ბმრ) სპექტომეტრი (400 MHz); თსუ ცოდნისა და ინოვაციების გადაცემის ცენტრი; მულტიმედია ცენტრი, არქეოლოგიური საველე ბაზა გრაკლიან გორაზე, სახვითი ხელოვნების სტუდია და სხვ.



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, როგორც კავკასიის პირველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, არა მხოლოდ ეროვნული და სახელმწიფოებრივი, არამედ რეგიონული მნიშვნელობის სამეცნიერო-კვლევითი, კულტურულ-საზოგადოებრივი და საგანმანათლებლო კერაა. თსუ-ს მიზანია, რეგიონში უცვლელად ჰქონდეს ლიდერი კვლევითი უნივერსიტეტის სტატუსი და საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცის ღირსეულ და წარმატებულ სუბიექტს წარმოადგენდეს. ამავდროულად, თსუ-ს აქვს ვალდებულება და მისია, განავითაროს ქართული ენა, განათლება, კულტურა და მემკვიდრეობა. ეს მისია უცვლელია და გაცილებით მეტია, ვიდრე ნებისმიერი ვადიანი სტრატეგიული გეგმა.

თსუ-ის, როგორც ძლიერი კვლევითი ინსტიტუციის, ძირითადი მიზანია საზოგადოების წინაშე არსებული და ახალი გამოწვევების ეფექტიანი გადაწყვეტა უმაღლესი დონის კვლევებისა და ინოვაციების უზრუნველყოფის გზით. მაღალი დონის კვლევები კი, თავის მხრივ საფუძველია მყარი და მიმზიდველი სწავლების განხორციელებისთვის.





## დაგეგმვის მეთოდოლოგია

თსუ-ს სტრატეგიული განვითარების დაგეგმვის პროცესი (იხ. სქემა 1.1) განხორციელდა 2023 წელს. გეგმა მიზნად ისახავს გამოკვეთოს ძირითადი პრიორიტეტები და სტრატეგიები, რომლებსაც უსდ გაატარებს განვითარების პროცესში. იგი მოიცავს უნივერსიტეტის მმართველობითი რგოლების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, დამსაქმებლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების ხედვას. სტრატეგიული გეგმა ითვალისწინებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების ერთიან სტრატეგიას 2022-2030 წლებში, 2030 წლამდე საქართველოს განვითარების სტრატეგიას, საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულებას და ერთიანი ევროპული საგანმანათლებლო სივრცის ძირითად სარეკომენდაციო დოკუმენტებს, წამყვანი ევროპული და ამერიკული უნივერსიტეტების გამოცდილებას.


სტრატეგია ასახავს უნივერსიტეტის პრიორიტეტებსა და მიზნებს, რომლებიც განხორციელდება დეტალური სამოქმედო გეგმის მეშვეობით. სტრატეგიული გეგმის შესრულება ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის დინამიურ განვითარებას ადამიანური, მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენებით. გარდა ამისა, სტრატეგია განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავებას, კვლევითი აქტივობების გაძლიერებას, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტებისთვის მხარდაჭერის მექანიზმების შეთავაზებას, შრომის ბაზრის მიმდინარე და სამომავლო მოთხოვნების დაკმაყოფილებას/ხელშეწყობას.

სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესის პირველ ეტაპზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომლის ამოცანას წარმოადგენდა სტრატეგიული დიალოგის დაწყება საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართულ ყველა რგოლთან და დაინტერესებულ მხარესთან ისეთ ფუნდამენტურ საკითხებზე, როგორებიცაა: უნივერსიტეტის მისია, ხედვა, დირექტორები; ასევე, გეგმის შემუშავების პროცესში სხვადასხვა ფუნქციური სფეროს წარმომადგენლებთან აქტიურ კომუნიკაციას და გეგმის განხორციელების ფაზაში მხარდაჭერისა და კოორდინაციის უზრუნველყოფას. აღნიშნული აქტივობების გათვალისწინებით სამუშაო ჯგუფმა დააკონკრეტა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტები.

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის სახით გამოყენებულია სტრატეგიული რუკა რ. კაპლანის და დ. ნორტონის მიერ შემუშავებული **Balanced Scorecard (დაბალანსებული შედეგების ცხრილი)**<sup>1</sup> მოდელის საფუძველზე (იხ სქემა 1.1).

<sup>1</sup> გამოყენებულია ტარტუს, კალიფორნიის, ედინბურგის, პენსილვანიის და სხვ. უნივერსიტეტების მიერ.

სქემა 1.1 სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი



სტრატეგიულ გეგმასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფმა შეხვედრები გამართა უნივერსიტეტის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან. ინტერვიუები დაიგეგმა უნივერსიტეტის ცალკეულ სტრუქტურულ ერთეულებთან, ფაკულტეტებთან, კვლევითი ინსტიტუტების წარმომადგენლებთან, აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და სხვ.

სტრატეგიული შეფასების ეტაპზე მოხდა იმ კრიტიკული საკითხების იდენტიფიცირება, რომლებიც გავლენას მოახდენს უნივერსიტეტის ძირითად მიმართულებებზე და სტრატეგიულად მნიშვნელოვან საკითხებზე. შეფასებისათვის გამოყენებული იქნა სხვადასხვა გზა, როგორც მარტივი გონებრივი შტურმი, ასევე ანალიტიკური ინსტრუმენტები. შედეგად გამოვლინდა ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების კომპონენტები (S.W.O.T).




SWOT ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით გამოიკვეთა უნივერსიტეტის წინაშე არსებული შესაძლებლობები, საფრთხეები, ძლიერი და სუსტი მხარეები, რომლებიც გაიწერა შესაბამისი მატრიცით. ამის შემდეგ სამუშაო ჯგუფმა განსაზღვრა გრძელვადიანი სტრატეგიული მიზნები. ანალიზის შედეგად გამოიკვეთა ოთხი ფუნდამენტური პრიორიტეტული მიმართულება: **I. საგანმანათლებლო საქმიანობა; II. სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა; III. ორგანიზაციული ეფექტიანობა და ინსტიტუციური განვითარება; IV. მესამე მისია.**

სამუშაო ჯგუფმა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარესთან კოორდინირებით (ადმინისტრაცია, აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები) შეიმუშავა სტრატეგიული მიზნების საწყისი ვერსია. აღნიშნული მიზნები მოცემულია სტრატეგიულ რუკაზე, რომელიც ასახავს მიზნებს შორის მიზეზშედეგობრივ კავშირებს და წარმოადგენს ორგანიზაციის სტრატეგიის მიმოხილვას. რუკაზე მოცემული კომპონენტები მოიცავს ფინანსურ პერსპექტივას, მომხმარებლის პერსპექტივას, შიდა პროცესის პერსპექტივას, სწავლებისა და ზრდის პერსპექტივას. უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ განიხილა სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის სამუშაო ვერსია და აღნიშნული ეტაპის შემდეგ დაამტკიცდა დაზუსტებული საბოლოო ვარიანტი.

სტრატეგიული გეგმისათვის შემუშავდა ეფექტიანობის ინდიკატორები (KPI) და ჩამოყალიბდა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის მექანიზმები.


### 1.2 სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი



სატრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეფექტიანად წარმართვის მიზნით გამოყენებულია ბოსტონის საკონსულტაციო ჯგუფის მიდგომა, რომელიც სამი ფუნდამენტური ფაზისგან შედგება: **1. სტრატეგიული დიალოგი; 2. სტრატეგიული დაგეგმვა 3. სტრატეგიის აღსრულება** (იხ. სქემა 1.2).

მონიტორინგის მექანიზმი მოიცავს შემდეგ ძირითად ეტაპებს (იხ სქემა 2): **1. ინფორმაციის შეგროვება 2. განხორციელებული გეგმის შეფასება. 3. შეფასების შედეგები 4. გეგმის კორექტირება.**

სქემა 1.3 მონიტორინგის პროცესი



**პირველი ეტაპი:** პირველ ეტაპზე სამოქმედო გეგმის განმახორციელებელი პასუხისმგებელი პირებისაგან ვიღებთ ინფორმაციას განხორციელებული აქტივობებისა და სტრატეგიული მიზნის შესრულების პროგრესის შესახებ, რომელიც იზომება განსაზღვრული ინდიკატორების საშუალებით.

**მეორე ეტაპი:** ამ ეტაპზე ხდება მიღებული ინფორმაციის განხილვა და განხორციელებული აქტივობების შეფასება. სამოქმედო გეგმა შეფასდება წინასწარ განსაზღვრული პერიოდულობით (წელიწადში ერთხელ). მონიტორინგის ეტაპზე ხდება სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების შედეგად მიღწეული სამიზნე ნიშნულების შედარება დაგეგმილთან. სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული თითოეული აქტივობის განხორციელების შედეგად მიღწეული ნიშნული მოწმდება (იზომება) შესაბამისი სტრატეგიული ამოცანის ინდიკატორებით (KPI).

**მესამე ეტაპი:** ამ ეტაპზე შეფასების შედეგების საფუძველზე შემუშავდება რჩევები და რეკომენდაციები, რომელთა განხილვა მოხდება დაინტერესებულ მხარეებთან.


**მეოთხე ეტაპი:** განხილვის შედეგად მიიღება გადაწყვეტილება სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმაში ცვლილებების შეტანის საჭიროების თაობაზე.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი და შეფასება სისტემატური პროცესია და მისი მიზანია:

- დააკვირდეს სტრატეგიის ამოცანების განხორციელებას, არსებობის შემთხვევაში შეისწავლოს ბარიერები და შეიმუშაოს რეკომენდაციები მათი დაძლევის მიზნით;
- მონიტორინგის ფარგლებში შეაფასოს სტრატეგიის მიზნების მიღწევის შესაძლებლობა/აღბათობა და შეიმუშაოს რეკომენდაციები სტრატეგიის განხორციელების არსებული მიდგომების გაუმჯობესების ან ახალი მიდგომების დანერგვის (შესაბამისად, სტრატეგიის სამოქმედო გეგმის ცვლილების) შესახებ;
- შეაფასოს სტრატეგიის მიზნებისა და ამოცანების განხორციელების შედეგები და შეიმუშაოს რეკომენდაციები შემდგომ სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით.

სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები და მისგან გამომდინარე რეკომენდაციები წარედგინება აკადემიურ საბჭოს, რომელიც საჭიროების შემთხვევაში ახდენს შესაბამის რეაგირებას.

სტრატეგიული განვითარების გეგმასა და სამოქმედო გეგმაში ცვლილებები განხორციელდება მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელი ერთეულის არგუმენტირებული მოთხოვნის შემთხვევაში. მონიტორინგი და შეფასება დაეფუძნება სტრატეგიის განხორციელების სამოქმედო გეგმას, რომელიც მოიცავს მიზნებსა და სტრატეგიებს, მათ შესაბამის აქტივობებს, შესრულების ძირითად ინდიკატორებს/კრიტერიუმებს, შესრულების ვადებსა და სტრატეგიის იმპლემენტაციაზე პასუხისმგებელ პირებსა და სტრუქტურებს.





## მისია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მრავალსაუკუნოვანი ქართული კულტურის, ჰუმანისტური ტრადიციების, ძველი ქართული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ცენტრების სულიერი და ინტელექტუალური მემკვიდრეა. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის მრავალდარგოვანი კვლევითი უნივერსიტეტი, რომლის მისიაა:

- ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისა და საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობა;
- ახალი ცოდნის შექმნა, შენახვა და გავრცელება;
- კვლევებითა და ინოვაციებით საუნივერსიტეტო ტრადიციების განვითარება;
- სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება;
- მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის ხელშეწყობა;
- თავისუფალი სამყაროს ღირსეული წევრობა.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიაა, ღირსეულად ატაროს საქართველოს პირველი უნივერსიტეტის სახელი, ისტორიულ პირველობასთან ერთად შეინარჩუნოს პირველობა საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, მიეკუთვნებოდეს მსოფლიოს მოწინავე უნივერსიტეტთა რიცხვს, ხელი შეუწყოს ეროვნულ და ზოგადსაკაცობრიო კეთილდღეობას.

## ღირებულებები

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი იზიარებს ევროპული უნივერსიტეტების დიდი ქარტიით განსაზღვრულ იდეალებს; უნივერსიტეტის ღირებულებები ეფუძნება კრიტიკულ, შემოქმედებით და პროგრესულ აზროვნებას, აკადემიური თავისუფლებისა და აკადემიური ეთიკის პრინციპებს, ღია, დინამიკურ და გამჭვირვალე ურთიერთობებს.

## ხედვა

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხედვაა, 2024 წელს წარმოადგენდეს ევროპული ღირებულებებისა და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე უმაღლეს საგანმანათლებლო და კვლევით ცენტრს, რომელსაც უზრუნველყოფილი ექნება:

- საგანმანათლებლო პროგრამების საზოგადოების მოთხოვნებთან და შრომის ბაზართან ჰარმონიზაცია, მათ შორის მუდმივად განვითარებადი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების საშუალებით;
- ფუნდამენტური და გამოყენებითი კვლევების გაზრდილი რაოდენობა;
- საგანმანათლებლო, კვლევითი და ადმინისტრაციული პროცესების ინტერნაციონალიზაცია.

# SWOT ანალიზი

## ძლიერი მხარე

- უნივერსიტეტის ტრადიცია და ხანგრძლივი ისტორია
- ორმაგი და ერთობლივი აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი საგანმანათლებლო პროგრამები
- ინტენსიური საერთაშორისო თანამშრომლობა და პარტნიორები
- მდიდარი საბიბლიოთეკო რესურსები
- საგანმანათლებლო პროგრამების ფართო არჩევანი
- კვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი
- ხარისხიანი და მრავალფეროვანი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მაღალი პოტენციალი

## სუსტი მხარე


- საერთაშორისო სტუდენტების/აკადემიური პერსონალის არასაკმარისი რაოდენობა
- არასაკმარისი მარკეტინგული აქტივობები
- რთული ბიუროკრატიული ორგანიზაციული აპარატი
- ტექნოლოგიების გადაცემის/ კომერციული კვლევების მცირე რაოდენობა
- სწავლებასა და სამეცნიერო კვლევებში ჩართული ახალგაზრდა კადრების სიმცირე;
- არასაკმარისი/მოძველებული დარგობრივი სპეციფიკის შესაბამისი ლაბორატორიები
- კვლევის ინტერნაციონალიზაციის არასაკმარისი მხარდაჭერა

## შესაძლებლობები

- დამატებითი ფინანსების მოზიდვა ეროვნული და საერთაშორისო წყაროებიდან
- საერთაშორისო თანამშრომლობის გამოცდილება და მისი გაძლიერების პერსპექტივები
- საერთაშორისო სტუდენტების რაოდენობის ზრდა
- ერთობლივი კვლევითი და საგანმანათლებლო პროექტების მოზიდვა ადგილობრივი/საერთაშორისო დონორებიდან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებიდან, კვლევითი ორგანიზაციებიდან
- ინდუსტრიასთან კავშირების გაღრმავება

## საფრთხე

- რეგიონში პოლიტიკური არასტაბილურობა
- არაფორმალური განათლების მიღების მეტად ხელმისაწვდომობა და დასაქმების მზარდი შესაძლებლობები
- მდგრადი დაფინანსების სისტემის არარსებობა



პრიორიტეტები (Balanced Scorecard)	საგანმანათლებლო საქმიანობა	სამეცნიერო-კვლევითი და ინოვაციური საქმიანობა	ორგანიზაციული ეფექტიანობა და ინსტიტუციური განვითარება	მესამე მისია
-----------------------------------	----------------------------	--	---	--------------

ენიტეჩნის სტრატეგია

F1. ბიუჯეტის მოცულობის ზრდა	F2. ხარჯების ოპტიმიზაცია	F3. ფინანსური რესურსების ზრდა გრანტების საშუალებით	F4. მესამე მისიის აქტივობებისათვის დონაციის მოცულობის ზრდა	F5. კვლევისა და განვითარების ფონდის ზრდა
-----------------------------	--------------------------	--	--	--

დაინტერესდებიან ილია

C1. სტუდენტთა კმაყოფილების პერმანენტული ზრდა	C2. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების ზრდა	C3. სტუდენტების და კურსდამთავრებულების დარგობრივი პროფილით დასაქმების ზრდა
C4. უცხოელი სტუდენტების რაოდენობის ზრდა	C5. საზოგადოებასთან, ინდუსტრიასთან, საჯარო სექტორის ორგანიზაციებთან პარტნიორული კავშირების გაუმჯობესება	C6. კვლევების ხარისხის და პროდუქტიულობის გაუმჯობესება

შიდა პრიორიტეტები

P1. საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობისა და ხარისხის ამაღლება	P2. კვლევების გავლენის გაძლიერება ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე	P3. საგანმანათლებლო პროგრამების მიმზიდველობის გაზრდა საერთაშორისო სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისთვის	P4. პროფესიული განათლების პროგრამების კონკურენტუნარიანობის ამაღლება	P5. ინტერდისციპლინური კოლაბორაციის და კვლევების ხელშეწყობა	P6. გაცვლით და მობილობის პროგრამებში მონაწილე სტუდენტების/აკადემიური პერსონალის მზარდაჭრის გაძლიერება	
P7. კვლევების ეთიკის ნორმების დაცვის და გამჭვირვალობის უზრუნველყოფა	P8. ხარისხის მართვის სისტემის გაუმჯობესება	P9. სოციალური ჩართულობის გაძლიერება	P10. ტექნოლოგიების მართვის სისტემის ოპტიმიზაცია	P11. ტექნოლოგიების ტრანსფერის მარკეტინგული სტიმულირება	P12. უწყვეტი განათლების მომსახურების კონკურენტუნარიანობის გაუმჯობესება	P13. უნივერსიტეტის მართვის ეფექტიანობის გაუმჯობესება

აზარა

R1. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და ციფრული ტრანსფორმაცია	R2. ახალგაზრდა მეცნიერების მოზიდვა და შენარჩუნება	R3. კვლევითი ინფრასტრუქტურის განვითარება და სერვისების გაუმჯობესება	R4. ადამიანური რესურსების შეფასების სისტემისა და მოტივაციის გაუმჯობესება	R5. უნივერსიტეტში მართვის პროცესების ციფრული ტრანსფორმაცია
---	---	---	--	--



## I. საგანმანათლებლო საქმიანობა

**სტრატეგიული მიზანი 1** - ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მდგრადი, მაღალი ხარისხის, სტუდენტზე ორიენტირებული განათლების უზრუნველყოფა, სწავლა-სწავლების ტექნოლოგიების გაუმჯობესება, საგანმანათლებლო/პროფესიული პროგრამების მიმზიდველობისა და მოქნილობის ზრდა. ელექტრონული სწავლებისა და შერეული სწავლების გამოყენების გაფართოება.

<b>C1. სტრატეგია 1.1</b>	<b>სტუდენტთა კმაყოფილების პერმანენტული ზრდა</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი</li> <li>• სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი ფაკულტეტების მიხედვით</li> <li>• სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი პროგრამების მიხედვით</li> </ul>
<b>აქტივობა 1.1</b>	უნივერსიტეტის, ფაკულტეტების, პროგრამების დონეზე სტუდენტთა კმაყოფილების შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება
<b>აქტივობა 1.2</b>	უნივერსიტეტის, ფაკულტეტების, პროგრამების დონეზე სტუდენტთა კმაყოფილების შეფასების პერმანენტული კვლევა/ანალიზი
<b>აქტივობა 1.3</b>	სტუდენტის სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის მიზეზების დადგენის მექანიზმის დანერგვა და პერმანენტული კვლევა/ანალიზი
<b>აქტივობა 1.4</b>	სტუდენტის შიდა მობილობით სარგებლობის მოტივაციის დადგენის მექანიზმის დანერგვა და პერმანენტული კვლევა/ანალიზი
<b>C2. სტრატეგია 1.2</b>	<b>კურსდამთავრებულების კმაყოფილების ზრდა</b>
<b>ინდიკატორები</b>	<ul style="list-style-type: none"> <li>• კურსდამთავრებულების კმაყოფილების მაჩვენებელი</li> </ul>
<b>აქტივობა 2.1</b>	უნივერსიტეტის, ფაკულტეტების, პროგრამების დონეზე კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება
<b>აქტივობა 2.2</b>	უნივერსიტეტის, ფაკულტეტების, პროგრამების დონეზე კურსდამთავრებულთა კმაყოფილების შეფასების პერმანენტული კვლევა/ანალიზი
<b>აქტივობა 2.3</b>	კურსდამთავრებულთა მონაცემთა ბაზის პერმანენტული ანალიზი
<b>C3. სტრატეგია 1.3</b>	<b>კურსდამთავრებულების დარგობრივი პროფილით დასაქმების ზრდა</b>

ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>• პროფილით დასაქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობა</li> <li>• პროფილით დასაქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობის თანაფარდობა არაპროფილურად დასაქმებულებთან</li> <li>• დასაქმებული კურსდამთავრებულების რაოდენობა</li> </ul>
აქტივობა 3.1	კურსდამთავრებულების დასაქმების შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება
აქტივობა 3.2	კურსდამთავრებულების დასაქმების კვლევა/ანალიზი
აქტივობა 3.3	კურსდამთავრებულების დასაქმების შესახებ მონაცემთა ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება
აქტივობა 3.4	შრომის ბაზრის პერმანენტული ანალიზი
<b>C.4 სტრატეგია 1.4</b>	<b>უცხოელი სტუდენტების რაოდენობის გაზრდა</b>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>• უცხოელი სტუდენტების რაოდენობა</li> <li>• უცხოელი სტუდენტების ზრდის ტემპი</li> <li>• უცხოელი სტუდენტების თანაფარდობა სტუდენტების მთლიან რაოდენობასთან</li> </ul>
აქტივობა 4.1	უნივერსიტეტის, ფაკულტეტების, პროგრამების დონეზე უცხოელი სტუდენტების კმაყოფილების შეფასების მექანიზმის გაუმჯობესება
აქტივობა 4.2	უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მიზნით მიზნობრივი ბაზრების იდენტიფიკაცია
აქტივობა 4.3	მიზნობრივი ქვეყნებიდან უცხოელი სტუდენტების მოზიდვის მექანიზმის შემუშავება
<b>P1. სტრატეგია 1.5</b>	<b>საგანმანათლებლო პროგრამების კონკურენტუნარიანობისა და ხარისხის ამაღლება</b>
ინდიკატორები	<ul style="list-style-type: none"> <li>• საგანმანათლებლო პროგრამების მიმართ სტუდენტთა კმაყოფილების მაჩვენებელი</li> <li>• სახელმწიფო სასწავლო 100%-იანი გრანტის მქონე სტუდენტთა რაოდენობის შეფარდება ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობასთან</li> <li>• სახელმწიფო სასწავლო 50/70%-იანი გრანტის მქონე სტუდენტთა რაოდენობის შეფარდება ჩარიცხულ სტუდენტთა რაოდენობასთან</li> <li>• უცხოურ/ადგილობრივ უნივერსიტეტებთან ერთობლივი/ორმაგი ხარისხის პროგრამების რაოდენობა</li> <li>• უცხოენოვანი საგანმანათლებლო პროგრამების წილი თსუ საგანმანათლებლო პროგრამებში</li> <li>• ქართულენოვან საგანმანათლებლო პროგრამებში უცხოენოვანი სასწავლო კურსების რაოდენობა</li> <li>• საერთაშორისო აკრედიტაციის მქონე პროგრამების ხვედრითი წილი თსუ საგანმანათლებლო პროგრამებში</li> </ul>

აქტივობა 5.1	არსებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციისათვის (მათ შორის კლასტერული) მომზადება
აქტივობა 5.2	საგანმანათლებლო პროგრამების (ყველა საფეხურის) სასწავლო მასალების გადახედვა, დარგის უახლესი მასალით უზრუნველყოფა და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაახლოება
